

შპს „ფარმედ“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ფარმედ“-ის
დირექტორი დმიტრო ვასილენკო



სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7



შპს „ფარმედის“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 05.06.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2018
		ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან	3	10,442,023.56
წმინდა გაყიდვები		10,442,023.56
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		-5,675,072.26
საერთო მოგება		4,766,951.3

საოპერაციო ხარჯები		ჯამი
მიწოდების ხარჯები		
კომერციული ხარჯები		(466,025.04)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	4	(205,427.52)
მიწოდების სხვა ხარჯები		(200.00)
სულ:		671,652.56

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(543167.95)
დასაქმებულთა ანაზღაურება	5	(818446.83)
საგადასახადო ხარჯი		(45900.36)
საბანკო ხარჯები		(6634.61)
მივლინების ხარჯები		(2498.51)
ცვეთა და ამორტიზაცია		(510.21)
სხვა საერთო ხარჯები		(5617.91)
სულ:		(1422776.38)

სულ საოპერაციო ხარჯები:		(2094428.94)
-------------------------	--	---------------------

საოპერაციო მოგება:		2,672,522.36
--------------------	--	---------------------

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები		
სხვა არასაოპერაციო ზარალი	6	(19309.12)
სულ:		(19309.12)



წმინდა მოგება (ზარალი)		2,653,213.24
------------------------	--	--------------

შპს „ფარმედის“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2018
		ლარი
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ნაღდი ფული სალაროში		-
ფული საბანკო ანგარიშებზე		1,140,041.42
სავაწრო და სხვა მოთხოვნები	7	7,622,463.33
საქონელი	8	174,391.11
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი		3,162.47
სულ მიმდინარე აქტივები		8,940,058.33
გრძელვადიანი აქტივები		
ოფისის აღჭურვილობა		3,639.06
სხვა ძირითადი საშუალებები		65.51
არამატერიალური აქტივები		11,196.93
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,901.50
სულ აქტივები		8,954,959.83

პასივები	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე ვალდებულებები		



მომწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9	6,093,505.87
მიღებული ავანსები		63,260.63
გადასახდელი ხელფასი		1,091.24
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ		65.20
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		18,964.91
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		2,068.74
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,178,956.59
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		122,790.00
გაუნაწილებელი მოგება		2,653,213.24
სულ საკუთარი კაპიტალი		2,776,003.24
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		8,954,959.83

შპს „ფარმედის“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 05.06.2018 - 31.12.2018

პერიოდისთვის

2018

ლარი

საკუთარი კაპიტალი პერიოდის
დასაწყისში

-

საწესდებო კაპიტალი

122,790.00

გაუნაწილებელი მოგება

2,653,213.24

შპს „ფარმედ“-ის

დირექტორი დმითრო ვასილენკო



საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს

2,776,003.24

შპს „ფარმედის“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 06.08.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

	2018 ლარი
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	958,766.73
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	35.76
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	122,790.00
წმინდაცვლილება ფულად ნაკადებში	1,081,592.49
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	58,448.93
ფული და ფულის ეკვივალენტი პერიოდის დასაწყისში	-
ფული და ფულის ეკვივალენტი პერიოდის ბოლოს	1,140,041.42



შპს „ფარმედ“-ის

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფარმედ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 05/06/2018). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ლეონიძის ქ. #2 /გ.ტაბიძის ქ. #1 ფართი 7. მისი ძირითადი საქმიანობაა მედიკამენტებით ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე



გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი



მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 5 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.



იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახადები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება სმფ საბუღალტრო აღრიცხვა პირველად შემოსვლის ან დამზადებული პარტიის ფასის მეთოდით.



სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს მხოლოდ ექსპორტის ოპერაციებს.

4. ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი

ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი ხარჯი მოიცავს საზღვარგარეთ გაყიდული საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს და საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის ხარჯს.

5. დასაქმებულთა ანაზრაურება

დასაქმებულთა ნაზღაურება მოიცავს გაცემულ ხელფასებს.

6. არასაოპერაციო ზარალი

	2018
	ლარი
საპროცენტო შემოსავალი	35.76
სხვა შემოსავლები	50
საკურსო სხვაობა	-19394.88
	(19309.12)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018
	ლარი
სავაჭრო მოთხოვნები	7554678.10
გადახდილი ავანსები	67785.23
	7554678.10



8. საქონელი

საქონელი მოიცავს გადასაყიდათ განკუთვნილ საქონელს.

10. მომწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

	2018 ლარი
ადგილობრივი მომწოდებლები	101189.66
უცხოური მომწოდებლები	5992316.21
	6093505.87

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2019 წლის 30 აგვისტოს.

